მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

მუშა

	1 წ.	6 თ.		3 თ.		1 თ.	
	მ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.
თბილისში.	5	2	50	1	25	—	50
თბილ. გარ.	6	3	—	2	50	—	60
საზღ. გარ.	10	5	—	3	—	1	—

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1) მესამე პასუხი ახალგაზრდობას. 2) ფელეტონი: თანამედროვე მეცნიერება და ანარქიზმი. 3) ახალი ამბავი. 4) რუსეთის ქრონიკა. 5) უცხოეთი. 6) დეპეშა.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; საღამოს 5 ს.—7 საათ.

ა დ რ ე ს ი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქ., № 17.

№ 23 სამშაბათი 4 ივლისი 1906 წ. თბილისი № 23

ვთხოვთ ფეიურ ხელის მოწერლებს (თბილისში და თბილისს გარეთ) შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევაჩეროთ გაზეთის გზავნა.

ჩვენ მზად ვართ დავუთმოთ ჩვენი გაზეთის პატარა კალონები მუშის, მწარმოებლის მიერ გამოცხადებულ პროტესტს მჩაგვრელთა წინააღმდეგ და ამით ხელი შევუწყოთ მუშების დიად ბრძოლას სახელმწიფოსა და კაპიტალის წინააღმდეგ.

ვუმეორებთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში, რომ დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნონ ანგარიში წინანდელი ნომრებისა და დროზე მოგვაშველონ მისი ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევწყვიტოთ თქვენთან გაზეთების გზავნა.

ადრესის გამოცვლა

ჩვენი აგენტებისა, მკითხველებისა და ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

ამ დღიდან ადმინისტრაცია „ნობათისა“ გადადის გაზეთ „მუშის“ ადმინისტრატორის ხელში. ამისათვის ყოველგვარი წერილები და ფული იქვე უნდა იქნას მიმართული. ჩვენ აგენტებსა ვსთხოვთ ანგარიშიც „მუშის“ ადმინისტრაციას გაუწიოს. ყოველ წერილზე და აგრეთვე ფულიან კონვერტებზე, თუ ფულის გამოგზავნის უწყებებზე მკაფიოდ უნდა იქმნას აღნიშნული: „ნობათისათვის“.

„მუშის“ რედაქციის ადრესი, რომელიც ამიერიდან „ნობათის“ ადრესიცაა.

3. პასუხი ახალგაზრდობას.

ანარქისტების წინააღმდეგ ახალგაზრდობამაც განაცხადა პროტესტი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ახალგაზრდები გულწრფელი გრძნობით აცხადებენ პროტესტს, მაგრამ მაინც გული მეტკინა, როდესაც მათგან გავიგონე კაჰკაჰეით გაზეპირებული სიტყვები, რომელიც თითქოს ვიღაცას განგებ მიეწოდებინოს, იმგვარად იყო შედგენილი და დაწერილი ხსენებული პროტესტი. მესმის მათი გულწრფელობა, მაგრამ თანაც ვწუხვართ, რომ ასეთი დაუფიქრებელი ქცევა არ შეშვენის ახალგაზდობას, და აი რატომ: ნუ თუ მართლა ლანძღვა-გინებამ ააღელვა ახალგაზდობა? თუ ასეა, მაშ რატომ მარტო ჩვენმა ლანძღვა-გინებამ ააღელვა იგი და სხვისას კი არ აქცევდა ყურადღებას? მთელი სოც.-დემოკრატიული პრესა უშვერი ლანძღვის მეტს არას სწერდა თავის ორგანოების ფურცლებზედ მთელი მოძრაობის განმავლობაში და უმალაც, და მათ წინააღმდეგ პროტესტის განცხადება თავშიდაც არავის მოსვლია. მაშასადამე მარტო ჩვენ წინააღმდეგ პროტესტის ფარ ხმლის აღება უსამართლობაა, რაიცა არ შეშვენის წმინდა იდეალთა მქონე ახალგაზდობას. მაგრამ ეს კიდევ არაფერია; ჩვენ არც კი გვიფიქრია სოც.-დემოკრატების ლანძღვა, მათ პირველათ თვითონ დაგვიწყეს ლანძღვა და ცილის წამება, და ჩვენ იძულებული ვიყავით თავი დაგვეცვა, პროტესტი კი ჩვენ მოგვხვდა,—მათ კი არაფერი, გამართლების მეტი. ეს მეორე უსამართლობა ჩაიდინა ახალგაზდობამ. რაც შეეხება „მუშის“ სახელის გამოცვლას, ამას ჩვენ კვლავ სისულელეს ვუწოდებთ და ვურჩევთ გულწრფელად ახალგაზდებს ამგვარი სამარცხვინო მაგალითები აღარ აიღონ ხოლმე უფროსებისაგან. თავისი ტვინით ფიქრი სჯობია, რადგან ხშირად ძლიერ „უფროსი“ ადამიანური დიდ ყურასავით ფილოსოფოსობს, და მისი ნაბაძვი შეგნებულ ახალგაზდას კი არა, პატარა ბავშვსაც ვერ მოუხვევს ჰკვიანის სახელს.

მაგრამ ყოველივე ეს მე სრულიად არ მაკვირვებს და არ მაღონებს ისე, როგორც ის ფანატიკური ტონი, რომელიც ახასიათებდა ახალგაზდობის პროტესტს. თითქოს მართლაც რაღაც გახსნილ, რაღაც საშინელ და მავნებელ ადამიანთა წინააღმდეგ ილაშქრებოდენ!

ახალგაზრდებო! ძალიან ცუდი გზაა თქვენ ხანაში ფანატიზმის გზა! თქვენ ჯერ სწავლა არ დაგიმთავრებიათ, თქვენი ტვინის განვითარება ჯერ პირველ დასაწყისს ხანაშია, და თუ ეხლავე გაფანატიკოსდით, ეხლავე აღიარეთ ესა თუ ის მოძღვრება სრული ფანატიკური სარწმუნოებით და დაარწმუნეთ თავი,—რაიცა წინააღმდეგია—ეშმაკისაა, მაშინ დაჰკარგეთ ყოველივე იმედი თქვენი შემდეგი განვითარებისა, ან და გეშინოდესთ იმისი, რომ მრავალ დროს დაჰკარგავთ სანამ თქვენი გონება განთავისუფლდებოდეს ფანატიზმის ბრჭყალებიდამ. ის მაინც მოიგონეთ ყოველმა თქვენგანმა, რამდენი გონებრივი და სულიერი ძალა დახარჯეთ მხოლოდ იმისათვის, რომ მღვდლებისა და პოლიციელების თაყვანის ცემა უარგეყოთ,—უარ-გეყოთ ძველი მისტიკური რელიგია და თანამედროვე პოლიციური „ზრდილობა“, რომელიც ისე გულდასმითა და მაგრად ჩაგინერგეს გულში — სახლში და სკოლაში. მეტადრე ესე თავის ფორმა თანამედროვე სოციალიზმისა, რომელიც მეცნიერებაზეა დამყარებული, ან სცდილობს დაემყაროს მეცნიერებაზედ,—მეტადრე ეს ახალი რწმენაა საშიში ადამიანის გაფინატიკოსების მხრივ, და იმდენად მეტად, რამდენიდაც თანამედროვე მეცნიერების არგუმენტები საშინელი ძალითა და ძლიერებით მოქმედობენ ახალ გაზრდაზედ, საშინელი სიმძიმით აწვებიან მის ჯერ კიდევ განუვითარებელ გონებას და უხშოვენ კრიტიკის სულს.

ამიტომ ფრთხილად უნდა იყოთ თქვენ მეცადინეობაში და განვითარებაში. სანამ ცოტათი მაინც არ გაიგოთ რაშია საქმე, რას წარმოადგენს ესე თუ ის თეორია, აგრე ზერელად ფიცხელი მსჯავრი არ უნდა დასდოთ ხოლმე მას. როგორ შეიძლება, მაგალითად, ისეთი რიხით უარ-ყოფა მთელი თეორიისა, როგორც თქვენა სჩადით? უდიდესი მეცნიერებიც დიდის ყურადღებით ეპყრობიან მათ მოწინააღმდეგე თეორიებს და მას შემდეგ, როდესაც სრულიად შეისწავლიან მათ,—ან მიიღებენ და თავიანთ თეორიას კი უარჰყოფენ, ან ნაწილს მიიღებენ და თავიანთ შეცდომებს გაასწორებენ, ან და დარწმუნდებიან მათ სიყალბეში და კიდევაც ამტკიცებენ ამ სიყალბეს. რასაკვირველია მეცნიერობას ვერავის ვერ მოვთხოვ, ვერც ჩემ თავსა და ვერც სხვას, მაგრამ ერთი რამ კი მიმაჩნია აუცილებელ საჭიროდ და სავალდებულოდ ყველასათვის, და მეტადრე ახალგაზრდობისათვის: არ დაჰგმო ისეთი რამ, რაზედაც არავითარ წარმოდგენა არა გაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეგნებული ადამიანის მაგიერ ხუცესად ხდება ადამიანი, და რამდენი მინახავს მოძრაობის დროს ჩვენი ფრიად ნიჭიერი და მკვირცხლი სოც. დ-ტი პროპაგანდისტები, რომლებიც პატარა კათოლიკე მღვდლებს წარმოადგენდენ თავიანთი განუსაზღვრელი და ხშირად არა კეთილ-შობილური ფანატიზმით.

მეცნიერება დიდია, მას ბევრი და მრავალ მხრივი შესწავლა უნდა; სოციალიზმის მრავალგვარი შტოები არსებობენ,—მათაც შესწავლა უნდა, და თუ მით გულ-წრფელი სოციალისტები ხართ, ახალგაზრდებო, დაეწაფეთ მათ მთელი თქვენი დაუღალავი გონებით, ნიჭით და ახალგაზრდული აღფრთოვანებით, და როდესაც თქვენი რწმენა უბრალო credo კი არა, არამედ ნამდვილად შეთანხმებული იქნება თქვენი აზროვნების ვარჯიშობასთან, თქვენი ლოღიკური აზროვნების პირდაპირი ნაყოფი იქნება,—მაშინ დაჰგმეთ რაც დასაგმობია გეჩვენებათ და კეთილ-შობილური ფანატიზმითაც ემსახურეთ თქვენ რწმენას.

მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, მაშინ პატიოსანი, გონება-მომწიფებული ჭაბუკი ისეთი ენით აღარ მოგვმართავს ჩვენ, თუ გინდ არც ანარქისტი იყოს და პირ-იქით სოციალ-დემოკრატი, ან არა და უბრალო ბურჟუაც.

საზოგადოდ და განსაკუთრებით ჩვენში ანარქისტებზედ საშინელი და აბსურდული წარმოდგენა აქვსთ. ეს ფაქტი თავის თავად არ არის საკვირველი, რადგანაც არა ცოდნა—არ ცოდვააო, ნათქვამია. მაგრამ ორი რამ კი, რაიც ახასიათებს ანარქისტების მტერთა და მოწინააღმდეგეთ, ყველგან, განსაკუთრებით ისევ ჩვენ კურთხეულ საქართველოში,—ეს ორი რამ სწო-

რედ სასაცილო და საზიზღარია სასაცილოა ის, რომ ამ ვაჟბატონებს თავი მოსწონთ თავიანთი უმეცრებით. ბ. „ლამპრის“ მეცნიერი „ლეო“, მაგალითად ჰეგელისა და სპენსერის ევოლიუციონიზმს ერთმანეთში ვერ არჩევს, და სკოლნის რა პლეხანოვის ნაკოლნს, ქვეყანას არწმუნებს, რომ.... ანარქისტებს დიალექტიკა არა სწამთ, მაშასადამე... ევოლიუციაც არა სწამთო, მაშინ როდესაც მთელი მე-XIX საუკუნის მეცნიერება დიალექტიკური მეთოდით დახასიათდება ⁄ უდიდესი მეცნიერები დიალექტიკოსები იყვნენო! ამისთანა სისულელეს რომ კაცი იტყვის, ამისთანა უსირცხო უვიცობას რომ გამოიჩენს ადამიანთა მეცნიერებაშიაც, მის ისტორიაშიდაც, თვით დიალექტიკისა და ევოლიუციის თეორიაც ცოდნაშიაც აგრეთვე ანარქიზმი სრული უვიცობით დაიწყებს თავის მოწონებას და მართლაც ლაფშმოხეული კადნიერებით დაგიწყებს ბრახა-ბრუხს,— რა უნდა უთხრა გარდა ს.-დ.-ულივე მშვენიერი რუსული ფრაზისა: видно, что г. Лео и ему подобные до сихъ поръ еще не ,,самоопредѣлили себя вообще, какъ человѣка‘‘... უვიცობით ტრაბახობა და თავის მოწონება მხოლოდ კრეტინს შეუძლია და ნუ, ახალგაზრდებო, ნუ გადაგედებათ ეს სენი და ნუ გამოიჩენთ ამ გვარ გონების სიმდაბლეს, ნუ დაუწყებთ ნურც ერთ თეორიას, ნურც ანარქიზმს მაგგვარ უცოდინარო და უსაფუძვლო გმობას, თორემ ანარქიზმს ამით არაფერი დაეკლდება და თქვენ კი ცუდი ზნე შეგრჩებათ საერთოდ მეცნიერების შესწავლაში, რაიცა დიდი მანუგეშებელია თქვენი მოვალეი მეცნიერული განვითარებისათვის. ჯერ ანარქიზმს ამგვარ ქცევას მიეჩვევით, მერმე სხვა თეორიათა, — სრულიად უცოდინაროდ და უსაფუძვლოდ, ბოლოს კი საცოდავ საშუალო ადამიანებად გადიქცევით აზროვნების მხრივ, და დაგემართებათ ის, რაც „ლეოს“ დაემართა, ე. ი.— asinus manebis insecula seculorun აქ კი სახარბიელო არაფერია.—

მეორე, საზიზღარი მხარე ჩვენ მტერთა ბრძოლისა და კრიტიკისა ჩვენ წინააღმდეგ — ცილის წამებაა და დევნა. მთელი ევროპის სოდ-ები განირჩევიან ამით, და ჰგონიათ რომ ამგვარი გზით რამეს გაამწყობენ. ცილსა სწამებდენ ბაკუნინს, ინტერნაციონალის ბაკუნისტებს, ცილსა სწამებდენ ვველა ჩვენ ტერორისტებს ევროპაში, — ყველანი, მარკსიდამ დაწყებული ლიბკნეხტამდის და გედამდის, — ცილსა სწამებენ თავიანთ წიგნებში პლეხანოვი, ადლერი, დევილლი, ვან-ჯოლი, ბებელი, — ყველანი ერთი სიტყვით, — და მიუხედავად ამისა მთელი ევროპისა და ამერიკის მუშათა კლასსია გატაცებულია სოციალიზმის ანარქიული ფორმით, რაიცა ამ ბოლო დროს რევოლიუციონურ სანდიკალიზმში გამოიხატა. ცილის წამება იეზუიტების პრინციპია, სოც.-ის ანარქისტებს იეზუიტურად ეპყრობოდა და ნაცვლად მათი რიცხვის გადიდება და თავისი მოსპობისა და გადაშენების გზაზედ დადგომა მოიშვა: სხვა უფრო ლრმა პიროვნებებთან ერთად ანარქიზმის დევნაბებთან ერთად ანარქიზმის დევნაბებთან ერთად ანარქიზმის დევნა-ბებთან ერთად ანარქიზმის დევნა-ბებთან ერთად ანარქიზმის დევნა-

რი სიყვარული და ყოველივე გრ-ძნობა.

Bâton.

ახალი ამბავი

—

2 ივნისს დილის 9 საათზე უეცრივ შესყვიტა ელექტრონის კონკამ მიმოსვლა. მიზეზი მუშაობის შეწყვეტისა ყოფილა შემდეგი ამბავი: ერთს ჯარის კაცს, რომელიც კონდუქტორს არ წამოუყვანია ალაპარაკებია კონდუქტორს. მოსული პატრულების აფიცერი გამოსარჩლებია სალდათს და კონდუქტორი დაუპატიმრებიათ, რის გამოც ყველა ამხანაგები გაიფიცნენ და მოთხოვეს დატყვევებულ ამხანაგის განთავისუფლება. არ გაუვლია სულ 1 ნახევარს, რომ კონკაც გამოვიდა და პირველს ვაგონს განთავისუფლებული კონდუქტორიც.

— გენერალ-გუბერნატორმა შემდეგი შინაარსის განცხადება გააკრა ქუჩებში. ვისაც იარაღი ამოაჩნდება იმათ არა თუ სამი თვით დავაპატიმრებ, 5 წლით გადავასახლებო და ვინც კი იარაღს იხმარს, იმის წინააღმდეგ ჯარებს წინადადებას ვაძლევ იარაღი იხმარონო.

სჩანს სალდათებს ეძლევათ წინადადება თავისი მოსაზრებით გაასამართლონ ვინც სურთ?

— 1 ივლისს ნაძალადევში „უსაქმოთ დარჩენილ“ მუშებისათვის მიჰქონდათ 1000 მან. ვიღაც უცნობები დასცემიათ თავს არტელშიკს და გაუტაცნიათ ფული.

— როგორც ერევნიდან ტელეგრამები გადმოგვცემენ 30 ივნისს ვიღაც უცნობს სომხებს რამოდენიმეჯერ უსროლიათ რევოლვერიდან შუა ქალაქში ეტლით მიმავალს გუბერნატორს ტიზენგაუზენისათვის.

— ეს მეოთხე დღეა, რაც რომ ნიკოლოზის მოედანზე სამხედრო სატუსაღოში ტუსაღებმა შიმშილი გამოაცხადეს. მიზეზი, როგორც გვატყობინებენ, ის ყოფილა, რომ დარაჯებთან სალდათების მაგიერ პლასტუნები დაუყენებიათ.

— 1 ივლისს ღამის 11 საათზე ვერაზე უდელის ახლოს ვიღაც უცნობებმა რევოლვერით მძიმეთ დასჭრეს გოროდოვოი პოპოვი: მსროლელი მიმალულა.

— მოსკოვის ქუჩაზე მცხოვრებს აღასაკოვისათვის „შავი-ყორნის“ სახელით მოუთხოვნიათ 1,000 მანეთი დანიშნულს ადგილზე მისატანათ.

— 2 ივლის თავი მოუკლავს აფთიაქის შეგირდს არონიშიძეს მიზეზი თავის მოკვლისა ჯერ არ იციან.

— ბათომში ჯარებში მომხდარი რეულობის გამო დაატყვევეს 29 კაცი ეს სალდათები ჩუმათ გამოუპარებიათ ბათუმიდან ყარსში.

— 18 ივნის ღამეს სადგურს კარაკლისში ვიღაც უცნობებმა მოჰკლეს ხელოსანი. სადგურის მეთვალყურე დარაჯები თუმცა იდგნენ თავიანთ ადგილებზე, მაგრამ ვერ მოასწრეს მკვლელების ღაქერა. მკვლელობა გაძარცვის მიზნით მომხდარა; თუმცა ვერაფერი წაიღეს.

— ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ იქ საშინელი ძარცვა გლეჯა ყოფილა. ასეთი თავდასხმა მომხდარა შორაპნის მაზრაში სოფელს საქველთ უბანში, ზედა-რგანში სადაც საყდრები გაუძარცავთ და სხვაგან.

— როგორც სართიჭალის ბაქაული იტყობინება 23 ივნის ნორიოში 5 შეიარაღებული კაცი თავს დასხმია ჩხიტაძის ოჯახს. წაუღიათ ფულათ 472 მ. და ერთი ოქროს ქინძის თავი.

— 30 ივნის 12 საათზე 5 შეიარაღებული კაცი შეცვივნულან ბოქაულის ბიუკოვის სახლში 5 მ. ფულათ, რევოლვერი, ხანჯალი და 5 ოქროს ბეჭდები წაუღიათ.

— სასოფლო სამეურნო საზოგადოებაში დირეკტორათ 2 ივლისს ხმის უმრავლესობით არჩეულ იქმ. ბ. ყიფშიძე.

— მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის რკინის გზა ატყობინებს ამიერ კავკასიის რკინის გზას, რომ მან განაახლა ტვირთის მიღება, რომლის გადატანა გადმოტანაზე პასუხს აგებს. ტვირთები მიიღება ვიწრო ლიანდაგიანს სადგურებზე კარენიევო—სუჯა და სხვებზეც.

— კავკასიის ჯარების მთავარ სარდალის ბრძანებით რკინის გზის მოძრაობის უმფროსი აცნობებს გზებზე მოხელეებს, შემდეგს: ეტაპების მატარებლები შემდეგი რიგით ივლიან ახლო მოძავალშიო. თბილისიდან ყარსში კვირას 2 ივნისს. ალექსანდროპოლიდან—ერევანში სამშაბათს 4 ივლისს—უკან ე. ი. ერევნიდან ალექსანდროპოლში 7 ივლისს. ერევნიდან—ნახიჩევანში 5 ივლისს და უკან დაბრუნდება 6 ივლისს.

—როგორც გორიდგან გვატყობინებე 14 პოლიციელი გადამდგარა სამსახურიდგან, რადგანაც დაპირებული 18. მანეთი ჯამაგირის მაგივრად 15 მანეთ აძლევდნენ, და დანარჩენ სამ მანეთს კი ჯიბეში იდებდნენ მათ მაგიერ ჩაჩნები დააყენეს.

რუსეთის ქრონიკა

—

22 ივნისს საღამოს 4 საათზე ლეიხტენბერგის ქუჩა მოფენილი იყო პოლიციელებითა და კაზაკებითა, რადგანაც ხმები დადიოდა, რომ რეზინის მანუფატქურის ქარხანაში მიტინგი უნდა მომხდარიყო ამ დროისთვის ქუჩაში გამოჩნდა მუშათა გროვა წითელ დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით ერთ სახლიდან პოლიციელ პატრულს ესროლეს ქვა. გაბრაზებული პოლიციელები შეცვივდნენ ამ სახლში მაგრამ შიგ არავინ აღმოჩნდა, მაშინ ამათ ჯავრი ამოიყარეს უდანაშაულო ხალხზე. ერთი მუშათაგანი დაჩეხილი იყო ხმლით და ობუნოვის საავთმყოფის ალაყაფის კარებში მდგარნი მოსამსახურენი დასახიჩრებული იყვნენ ხმლით.

—

პოლიციის დეპარტამანტმა მიიღო ცნობა, რომ ლგოვის მაზრაში კურსკის გუბერნიაში ხელ მეორედ

დნენ ხოლმე ამ დაწესებულებათა წინააღმდეგ.

მაგრამ ზოგი ამ უკმაყოფილოთაგანი ცდილობენ გადაეგდოთ კისრიდან საზოგადო დაწესებულებათა, ტომის, თემის, გილდიის, ულელი. განსაკუთრებით იმისთვის, რომ თვით ამაღლებულიყვნენ დანარჩენებზე ზევით და გამდიდრებულიყვენ იმათ ანგარიშზე; მაშინ როდესაც სხვები ჯანყდებოდნენ შემავიწროებელ დაწესებულებათა წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ შეეცვალათ ისინი ყველას სასარგებლოთ,—განსაკუთრებით კი იმისთვის, რომ გადაეგდოთ უფლობის (власть) ულელი, რომელიც დასწოლოდა საზოგადოებას. ყველა რეფორმატორი, პოლიტიკური, სარწმუნოებრივი და ეკონომიური, ეკუთვნოდენ ამ რიცხვს. და მათ შორისაც ყოველ დროს ჩნდებოდნენ ისეთი პირები, რომლებიც არ იცდიდნენ, რომ ყველა მათი თანამემამულეთაგან, ან და უმრავლესობა, გაეღვნთილიყვნენ იმთი იდეებით, მიდიოდნენ წინ, სადაც შესაძლო იყო ჯგუფ-ჯგუფათ, და თითო თითოც, დაჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთი პირები ხდებოდნენ რევოლიუციონერებათ და მათ შეხვდებით ჩვენ აგრეთვე ყოველ დროს.

მაგრამ თვით რევოლიუციონერებიც კი ჩვეულებრივ ჩნდებოდნენ ისტორიაში ორნაირი ხასიათით. ზოგი მათგანი, აღსდგებოდნენ თუ არა მთამრობის წინააღმღეგ, რომელიც დასწოლოდა საზოგადოებას, ცდილობდნენ მის მოსპობას კი არა, არამედ მხოლოთ იმას, რომ თვით ჩაეგდოთ ხელში მართვა-გამგეობის სადავეები. შემავიწროებელ მთავრობის მაგიერ ისინი ცდილობდნენ შეექმნათ ახალი და პირდებოდენ, ხალხს, რომ ახალი მთავრობა დაიცვის ხალხის ინტერესებს ⁄ გახდება თვით ხალხის წარმომადგენელიო. ანუ სხვათა შორის, შენდებოდა კეისრის უფლობა საიმპერატორო რომში საეკლესიო მთავრობა პირველ საუკუნოებაში რომის იმპერატორის დამხობის შემდეგ, დიქტატურების ბატონობა საშუალო საუკუნოების ქალაქ-რესპუბლიკების დაცემის ეპოქაში; ამავე მიმდინარეობით სარგებლობდა სამეფო და ხელმწიფის მთავრობა, ფეოდალურ ხანის მიწურულში. ხალხისაგან-იმპერატორის რწმენა (ცეზარიზმი).

მაგრამ ამავე დროს ყოველთვის თავს იჩენდა მეორე მიმდინარეობაც. ყველა დროში, ძველი საბუთებიდან დაწყებული, ჩნდებოდნენ ისეთი პირები და ისეთი მიმართულებანი, რომელითაც უნდოდათ ერთი მთავრობის მეორეთი შეცვლა კი არა, არამედ მოსპობა, თვით მთავრობის რომელიც წამოსკუპებულიყო საზოგადოებრივ დაწესებულებებზე. ისინი აღიარებდნენ პირობის და ხალხის უზენაეს უფლებებს და ცდილობდნენ განთავისუფლებინათ ხალხური დაწესებულებანი უცხო და მტრული ძალისაგან, — ეს იმიტომ, რომ ხალხის თავისუფალი შემოქმედებას შეძლებოდა ხელახლა აეშენებია ეს დაწესებულებანი ახალ მოთხოვნილებათა თანახმათ. ძველ საბერძნეთის და განსაკუთრებით საშუალო საუკუნოების ქალაქ-რესპუბლიკების ისტორიაში ჩვენ ვხედავთ ამ ბრძოლის შესანიშნავ მაგალითებს (ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ფლორენცია და პსკოვი). ამ აზრით, მაშასადამე, იაკობინელნი ერთი მხრით და ანარქისტები მეორე მხრით არსებობდენ აგრეთვე ყველა დროს რეფორმატორთა და რევოლიუციონერთა შორის.

წარსულ საუკუნოებში ხდებოდა კიდევაც უზარმაზარი ხალხური მოძრაობა ამ უკანასკნელი ხასიათისა. მრავალი ათასი კაცი ჯანყდებოდენ მაშინ სახელმწიფოებრივ საფუძვლების—მისი იარაღების, სასამართლოს და კანონის—წინააღმდეგ და აღიარებდენ ადამიანის უზენაეს უფლებებს. რადგან უარს ყოფდენ დაწერილ კანონებს, ამგვარი მოძრაობანი ცდილობდენ დაემყარებინათ ახალი საზოგადოება თანასწორობაზე და შრომაზე და თვითვეულისაგან თავისი საკუთარი სინიდისის მართვის საფუძველზე. ქრისტიანულ მოძრაობას, რომელიც დაიწყო იუდიაში, იუდიოს კეისრის დროს, და რომელიც მიმართული იყო რომის კანონის, რომის სახელმწიფოსი და რომის ზნეობის (ანუ უკეთ, რომ ვსთქვათ, რომის უზნეობის) წინააღმდეგ საფუძვლათ ედო უეკველად ბევრი რამ ანარქისტული. მხოლოდ ნელ-ნელა ჩამოისხა ის საეკლესიო მოძრაობაში ძველ ებრაულ ეკლესიის და თვით რომის ნაირათ, რომელმაც ჩაჭკლა და ჩაახრჩო ანარქისტული სული, მიიღო რომაული სახელმწიფო ფორმები და დროთა ვითარებით შეიქმნა სახელმწიფო უფლეობის, მონობის და დევნაშევიწროობის მთავარ ბურჯათ.

ანაბაპტისტების მოძრაობაში, რო-

ასტყდა აგრარული მოძრაობა და მიიღო საშინელი ხასიათი. მამულებში ყანა მოუქრელი რჩება, რადგანაც გლეხები ნებას არ აძლევენ და სცემენ მოსულ მუშებს. დეპარტამენტმა დაავალა გუბერნატორს მიიღოს შესაფერი ზომები.

—

სარატოვის გუბერნიაში მოდებული აგრარული მოძრაობით, ხდება ჩვეულებრივი სურათები გლეხების დამშვიდება კაზაკების მიერ. ზოგიერთ ადგილებში კაზაკებს აიძულებენ უკან დახევას აუარებელი ხალხის ბრბოს ძალ-დატანების ქვეშ. ამისთანა ამბავი მოხდა ატკარსკის მაზრაში მეორე ამბავი მოხდა ვოლსკში. აქ დგანან ასტრახანის კაზაკები 138 ამათგანი იყვნენ გაგზავნილი მაზრაში გლეხების დასამშვიდებლად, მაგრამ ამათ უარი განაცხადეს იარაღის ხმარებაზე. მაშინვე ეს კაზაკები უკანვე დააბრუნეს ვოლსკში და შეეკითხენ სამხედრო მინისტრს დასჯილ იქნენ ეს კაზაკები დისციპლინარულ წესით თუ გაგზავნილ იქნან სამშობლოში?

—

შლისსელბურგის ციხის გაუქმების უმალ დათხოვნილ იქმნა დანიშნულ პენსიით უმფროსი ჯალათი, რომელიც 20 წელიწადი მსახურობდა ამ ციხეში.

—

„პეტერბურგის ფურცელი“ იუწყება, რომ გუშინ 5 ივნისს დადიოდა ხმები, რომ კაბინეტი ვითომ მუშაობს იმ დიდებულ კანონპროექტზე, რომელიც დაამშვიდებსო(?!)

მთელ რუსეთს. ბიუროკრატიულ სფერაშიაც ამაზე არავითარ იმედებს არ ამყარებენ.

—

პეტერბურგში როგორც „XX ვეკი“ იუწყება მრავალი მემამულეთაგანი ჩამოვიდნენ. კორონეჟის, კურსკის, ტულის, სარატოვის და ციმბირის გუბერნიიდან. ისინი ჩამოვიდნენ რათა იშუამდგომლონ შინაგან მინისტრის წინაშე თავის მამულების დასაცველათ. იმათი აზრით მამულში ცხოვრება შეუძლებელია და აგრარული კითხვის დაბოლოვება მოსპობს მემამულეების უკანასკნელ ბუდეს. გამოჩნდა თითქმის ყველგან, რომ წრევანდელი მოსავალი შარშანდელზე უარესია.

—

კიევიდან XX ვეკ-ს ატყობინებენ მეოთხე ბატალიონმა ოდესის პოლკის უარი სთქვა მიიღოს გაფუჭებული ვახშმის საჭმელი, მოსულ აფიცერმა, იმის მაგივრად რომ დაამშვიდებინა ჯარის კაცები, დაუწყო უშვერი სიტყვით გინება. მაშინ მთელი ბატალიონი პოლკისა ერთი ერთმანეთის მხარის დაჭერით გაიფიცნენ. გამოძიება სწარმოებს.

—

გელსინგფორიდგან იუწყებიან, რომ რუსის სალდათების შორის ბანაკში გილმანსტრადში ამჩნევენ საშინელ მღელვარებას როგორც ხმა დადის ერთი აფიცერი სასიკვდილოდ დაჭრილი არის სალდათების მიერ. მიზეზი მღელვარებისას ასახელებენ სალდათების გალახვას აფიცრის მიერ

უცხოეთი.

—

შვეიცარია. ციურიხის კორრესპონდენტი ბერლინის „Local anzeiger“ №333 იუწყება, რომ შვეიცარიაში მიღებულია ახალი კანონი, ანარქისტთა მოძღვრების პროპაგანდის წინააღმდეგ. შვეიცარიის კავშირის კრებამ დეკემბერში წარსულს წელს შეიმუშავა ახალი კანონი, ანარქიზმის ქადაგებისათვის დამატებითი სასჯელი. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას სურდა რომ არ შესულიყო ეს კანონი ძალაში, გადაწყვიტა მიემართა ხალხისათვის, რომლისათვისაც საჭიროა 30,000 ხმა. მაგრამ ანარქისტების დანაშაულობამ უკანასკნელ ხანებში ისე გაამწვავეს დამოკიდებულება შვეიცარიის მცხოვრებთა, უცხოელ ანარქისტებისადმი, რომ 3 ივლისს ვადის გასვლამდე რეფერენდუმისა, სოციალისტებმა მოახერხეს მოგროვება მხოლოდ 28,000 ხმა და ამიტომაც რეფერენდუმს არა ჰქონდა ძალა და არა სასურველი კანონი სოციალისტებისათვის, შევიდა ძალაში. თავის-უფლების მოყვარულები შვეიცარიელებიც კი დარწმუნდნენ, რომ ანარქიზმი არის გამანადგურებელი დასაწყისი მონარქიისათვის კი არა მარტო, არამედ რესპუბლიკისათვისაც კიო.

დეპეშები

(პეტერბურგის სააგენტო დეპეშები).

—

ბერლინი. საერო განათლების მინისტრმა აუკრძალა სოციალ-დემოკრატებს, გიმნასტიკური კურსის გამართვა ახალგაზრდათვის, რადგანც პარტია ზნეობრივად გამოუსადეგარიაო.

ნიჟნი ნოვგოროდი. გოროდეცკაში გადაიწვა 300 სახლზედ მეტი.

ბორისოვი. დაბა სმოლევიჩში 2 გლეხი ცდილობდა მოეხდინა ებრაელების „პოგრომი“. მაგრამ [...] რაჯებმა დაიჭირეს. ერთი იმათ[...] მძიმედ დაჭრილია.

ლონდონი. მოსალოდნელია [...] შათა პარტიის კრება, ევრო[...] პარლამენტების წარმომადგენ[...] თანადასწრებით. აგრეთვე მოსა[...] ნელია დემონსტრაცია რუსეთის [...] ვოლიუციის პატივსაცემად. [...] პარაკებენ: ჟორესი, ბებელი და [...] განოვიჩი, სახელმწიფო სათათბი[...] წევრი.

ვარშავა. გენერალ-გუბე[...] ტორმა ანიშნა მაგისტრს, რომ [...] ლიტიკური ოჯახები, რომელ[...] ვინმე ჰყავთ მოკლული, ალ[...] ნოთ დახმარება ქალაქის შემ[...] ლიდან.

კონსტანტინოპოლი. სალ[...] კის მეუფლენი დაიჭირეს ყველ[...] ბით დიდი ყუთი. გახსნისა [...] აღმოჩნდა, რომ იგი იყო [...] ლი გაზეთების ეგზემლიარებით.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრე[...] იუწყება, რომ 1 ივლის ძირი[...] ტერგოფის ბაღში მოკლულია [...] ნერალი კოზლოვი სუფთად ჩაც[...] კაცისაგან. სამჯერ უსროლია [...] და შემდეგ სადღაც მიმალულა[...]

პეტერბურგი. „რეჩს“ სევას[...] პოლიდან ატყობინებენ, რომ [...] ხნინის მკვლელი ყოფილა ახალ[...] ლანდის მებაღე. ყოფილი მატრ[...] შატენკო მატროს სკინოვთან ერ[...]

რიგინსკი. კომპანია „ნადე[...] ზე მომუშავე დამტვირთველები [...] ფიცნენ.

ვარშავა. ნოქრები და საკო[...] ტროების შეგიდები გაიფიც[...] მოთხოვნანი ეკონომიურია.

ნებიროვი. კოვალიოვსკის ქა[...] ქარხანაში გაიფიცნენ მუშები. [...] თხოვნანი ეკონომიურია.

რადომი. ქუჩაზე სასი[...] ლოდ დასჭრეს ციხის უფრ[...] სის თანამდებობის აღმასრ[...] ბელი პირსკი.

ხარკოვი. გუშინ ივანოვკაში [...] კლეს მუშა გორნეტი, რომელ[...] ჯაშუშობას აბრალებდნენ. დაპა[...] მრებულია სამი.

რედაქტორ-გამომცემელი

მიხეილ დიასამ[...]

მელმაც, არსებითად, საფუძველი ჩაუყარა რეფორმაციას, სწორედ ამგვარად ბევრი რამ ანარქისტული იყო მაგრამ გაჰყლეტილი თვით რეფორმატორების მიერ, რომელნიც შეუერთდენ თავადებს აჯანყებულ გლეხთა წინააღმდეგ ლიუტერის წინამძღოლობით, ის ჩაიხრჩო გლეხთა და ქალაქთა სისხლის მორევში. მაშინ მარჯვენა ფრთა რეფორმატორთა გადავარდა თავის სინდისთან სახელმწიფოსთან მორიგებით, რომელიც არსებობს ახლა პროტესტანტიზმის სახელით.

გავიმეოროთ მოკლეთ ნათქვამი. ანარქიზმი, მაშასადამე, იწყება ხალხის აღმაშენებელ, შემოქმედებითი მუშაობიდან, რომლითაც წარსულში მუშავდებოდენ საერთო ცნობების დაწესებულებანი, იწყება პიროვნების პროტესტიდან, და ხალხის აჯანყებიდან იმ დაწესებულებებზე დაწოლილ უცხო ძალის წინააღმდეგ; იწყება იმ პროტესტიდან, რომელშიდაც აჯანყებულები ცდილობდენ მიეცათ ხელახლა ფართო ასპარეზი ხალხის შემოქმედებითი მუშაობისთვის, ეს იმიტომ, რომ მას შეძლებოდა გაეშალა ფრთე-

ბი მთელი თავისი ძალღონით საჭირო დაწესებულებათა შესამუშავებლათ.

ჩვენს დროში ანარქიზმი დაიბადა იმავე — პროტესტისაგან კრიტიკულ და რევოლიუციონურ — რომელისაგანაც დაიბადა მთელი სოციალიზმი. მხოლოთ სოციალისტების ნაწილი, მივიდა თუ არა კაპიტალისა და კაპიტალისტის მიერ მუშის დამონავებაზე დამყარებულ საზოგადოებრივ წყობილების უარყოფამდე, შეჩერდა ამაზედ. ის წინაარაღუდკა, ჩვენის ფიქრით, უმთავრეს ბურჯს კაპიტალისას — სახელმწიფოს — და მის მთავარ ბოძებს: მთავრობის გაერთიანებას, კანონს (უმცირესობის მიერ უმცირესობისავე სასარგებლოთ დაწერილს) და სასამართლოს, რომელიც დაწესებულია, უმთავრესათ, მთავრობის და კაპიტალის დასაცველათ. ანარქიზმი კი არ გაჩერებულა თავის კრიტიკაში ამ დაწესებულებების წინაშე. მან აღიმაღლა წმიდათა წმიდის შეურაცხყოფელი თავისი ხელი არა მარტო კაპიტალის წინააღმდეგ, არამედ კაპიტალიზმის ამ ბურჯების წინააღმდეგაც კი.

ან — შან.

ამა ივნისს **22**-დან ტფილისში გამოვიდა

ყოველკვირეული სახალხო გაზეთი

გ ლ ე ხ ი

გაზეთი ემსახურება მიწის მუშა გლეხობის ინტერესებს: **მიწა და [...] თავისუფლება, მიწა მიწის მუშებს!** გაზეთი ხელს შეუწყობს მშრო[...] გლეხების განვითარებას, გამოარკვევს ადგილობრივ საჭიროებას და [...] ნობს რუსეთის და ევროპის გლეხობის მოძრაობას. პროლეტარიატი [...] გლეხობა ის მოწინავე რაზმია, ის მშრომელი კლასი, რომელიც [...] ოფლით ასაზრდოებს მთელს ქვეყანას და რომელიც უმზადებს კაცობ[...] ობის განახლებას და ახალს, სამართლიანობასა, თანასწორობასა და [...] სუფლებაზე დამყარებულს ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა: წლის დამლევამდე **1** მან. და **60** კ., სამის თვით — **80** [...] ცალკე № — 6 კ.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში (საპიტრის ქუჩა, № 43) [...] წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

(5—1)

რედაქტორ-გამომცემელი მ. ალამაშვილი

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა სახ. № 3.